CICERO FOUNDATION GREAT DEBATE PAPER

No. 13/02

აპრილი, 2013

დემოკრატია საქართველოში:

Da Capo?

სტეფენ [სტივენ] ფ. ჯონსი

Stephen F. Jones

რუსეთის კვლევების პროფესორი

Mount Holyoke College, South Hadley, Mass.

This paper was originally published in English by the Cicero Foundation as "Cicero Foundation Great Debate Paper", No. 13/02, April 2013. Url.: http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf

წინამდებარე სტატიის თავდაპირველი ვერსია დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე Cicero Foundation-ის მიერ, როგორც "Cicero Foundation Great Debate Paper", No. 13/02, April 2013. სტატია ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf

Cicero Foundation Great Debate Paper No. 13/02
© Stephen F. Jones, 2013

ყველა უფლება დაცულია.

The Cicero Foundation დამოუკიდებელი პროატლანტიკური და პროევროკავშირული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია.

www.cicerofoundation.org

Cicero Foundation Great Debate Papers აუცილებლობით არ ასახავს Cicero Foundation-ის მოსაზრებებებს, თუმცა იმდენად საინტერესოდ და საყურადღებოდ მიიჩნევს, რომ დაბეჭდოს. ამ ვებ პუბლიკაციებში მოცემული ნებისმიერი ინფორმაცია ციფრული და ნაბეჭდი ასლების გადაღების უფლების შესახებ მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის არის განკუთვნილი, ყოველგვარი საფასურისა და ფორმალური მოთხოვნის გარეშე. სრული ციტირება და საავტორო უფლებების შესახებ შენიშვნა პირველივე გვერდზე უნდა იყოს მოცემული. ასლების გადაღება ან გავრცელება არ უნდა მოხდეს მოგების ან კომერციული სარგებლის მიღების მიზნით.

The Cicero Foundation

საფრანგეთი

13, rue Washington

75008 PARIS

Tel. +33 1 45 62 05 90

Fax +33 1 45 62 05 30

Email: info@cicerofoundation.org

ნიდერლანდები

Hondertmarck D 45

6211 MB MAASTRICHT

Tel. +31 43 32 60 602

Fax +31 43 32 60 828

cicerofoundation@gmail.com

დემოკრატია საქართველოში: Da Capo?

სტეფენ [სტივენ] ფ. ჯონსი*

შესავალი

შესაძლებელია, რომ ოცწლიანი ექსპერიმენტირების შემდეგ, საქართველოში თავისუფალი არჩევნების გზით, ძალაუფლების მშვიდობიან გადაცემას, 2012 წლის 1 ოქტომბერს ქვეყანა „კონსოლიდირებული დემოკრატიის“ ლეგენდარულ ეპოქასთან მიეახლოვებინა? კოალიცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს (ქო) გამარჯვება პირველი შემთხვევაა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როდესაც ერთმა მთავრობამ ნებაყოფლობით დაუთმო ძალაუფლება მეორეს. საქართველოს არ მიუღწევია სამუელ ჰანტინგტონისეული „ორი ცვლილების ტესტისთვის“ (ჰანტინგტონს მიაჩნია, რომ ძალაუფლების ცვლილება *ორჯერ* უნდა მოხდეს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ყველა პარტია იცავს დემოკრატიულ წესებს); ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოეპყრობა ახალი მთავრობა, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ოპოზიციას და როგორ გაუმკლავდება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მეორეხარისხოვან როლს ათწლიანი იოლი დომინირების შემდეგ.[i] დასავლელმა ექსპერტებმა, ევროპარლამენტის წევრებმა და ამერიკელმა კონგრესმენებმა დაგმეს რა ქართული ოცნების მთავრობაში მოსვლის შემდეგ მალევე დაწყებული ყოფილი მთავრობის მაღალჩინოსნების დაჭერებისა და სასამართლოების სერიები, ეჭვი გამოთქვეს ცვლილებებთან დაკავშირებით. ისინი გმობენ „დემოკრატიულ უკუსვლას“ და ინტერესდებიან, განწირულია თუ არა საქართველო ერთპარტიული დომინანტობის კიდევ ერთი გამოცდილებისთვის.[ii] ფაქტობრივად, რასაც ჩვენ ვხედავთ, არასწორად ინფორმირებული დასავლელი დამკვირვებლებია, რომელთაც ხშირად მცდარად წარედგინებათ საქართველო. თავდაპირველად, დასავლური აზრის შემქმნელებმა არასწორი ინტერპრეტაცია მისცეს საქართველოს პირველ პრეზიდენტს, ზვიად გამსახურდიას, როგორც ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლ მამაც ყოფილ დისიდენტს. ისინი კიდევ დიდხანს უჭერდნენ მხარს ედუარდ შევარდნაძეს მას შემდეგ, რაც თავად ქართველი ამომრჩევლისთვის კარგად იყო ცნობილი სისტემატური საარჩევნო თაღლითობის შესახებ. ისინი მიესალმებოდნენ ახალგაზრდა და დინამიკური მოდერნიზატორის, მიხეილ სააკაშვილის „რეფორმებს“ იმისდა მიუხედავად, რომ სახეზე იყო ადრეული ნიშნები იმისა, რომ დემოკრატია და კანონი ექვემდებარებოდა მის გადაწყვეტილებას, შეექმნა ძლიერი სახელმწიფო. შეფასებაში დაშვებულ ამ შეცდომებს თავისი შედეგები მოჰყვა: დასავლეთის მხარდაჭერამ გაახანგრძლივა სააკაშვილის პოსტზე

---

* სტეფენ [სტივენ] ფ. ჯონსი არის ავტორი ნაშრომისა *Georgia: A Political History Since Independence* (London and New York: IB Tauris), 2012.

ყოფნის პერიოდი და წაახალისა საქართველოს გადაკეთების ამბიცია, მიუხედავად სოციალური და პოლიტიკური საფასურისა. ამას დაემატა აბსურდული დემოკრატიული სტანდარტები, რომლებსაც დასავლური მთავრობები საქართველოს უყენებდნენ, თუმცა თავად ძლივს ახერხებდნენ მათ შენარჩუნებას. ასეთი სტანდარტები მექანიკურ კრიტერიუმებად იქცა, რაც შეუმჩნეველს ხდიდა დეტალებში ჩამალულ ეშმაკს. საკუთარ ეკონომიკურ და დემოკრატიულ დეფიციტებში ჩაფლული ევროკავშირი და შეერთებული შტატები მეტად თავშეკავებულნი უნდა იყვნენ იმ პოლიტიკისა და ინსტიტუციების ექსპორტირებისას, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, არ შეესატყვისება საქართველოს მოთხოვნილებებს ან ვერ აგვარებს მის პრობლემებს.

სააკაშვილის ეკონომიკური პოლიტიკა: ნეოლიბერალური ფანტაზია?

პრეზიდენტ სააკაშვილის პარტიამ, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ (ენმ) იმიტომ წააგო 2012 წლის არჩევნები, რომ ცხრა წლის განმავლობაში ვერ შეძლო რიგითი ქართველების ცხოვრების გაუმჯობესება. მათი უმრავლესობა ისევ სიღარიბის ზღვრის მიღმა იმყოფება, უმუშევარია და ვერ ახერხებს ჯანმრთელობის ბაზისური მთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მთავრობის დამღუპველი ეკონომიკური პოლიტიკა იდეოლოგიური ნეოლიბერალური ილუზია იყო, რომელმაც გააფეტიშა პირდაპირი უცხოური ინვესტიცია (პუი), გააუქმა სამუშაო ადგილები, უარყო სოფლის მეურნეობა, ხელი შეუწყო კორუფციას და ქართველთა უმრავლესობის ეკონომიკურად და სოციალურად მარგინალიზაცია მოახდინა. თუმცა, სააკაშვილს არც დამსახურებები უნდა დავუკარგოთ: მან საქართველო პოსტსაბჭოთა ეპოქიდან ოცდამეერთე საუკუნეში შეიყვანა, დაასრულა შევარდნაძის ეპოქის „უსარგებლო პლურალიზმი“, მოაშორა ძველი საბჭოთა ნომენკლატურა, გააფართოვა სახელმწიფოს შესაძლებლობები, გაზარდა ბიუჯეტი, საქართველო ევროპისა და ნატოსკენ წაიყვანა. თუმცა, ამავდროულად, შექმნა კორუმპირებული სახელმწიფო თვალთვალის სისტემა, რომელიც სახიფათოდ ახლოს იდგა პუტინისეულ „ძალაუფლების ვერტიკალის“ მოდელთან. სააკაშვილის ვერსია კონსტიტუციით მხარდაჭერილ სუპერპრეზიდენტიალიზმისა და პოლიტიკური კონტროლის (მაგალითად, მედიის) არაფორმალური მექანიზმების, რესურსებზე მონოპოლიისა და დაშინების კომბინაციას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ იყო ოქტომბრის არჩევნები ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი. უნდა შეზღუდულიყო საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება და აღორძინებულიყო გამსახურდიას, შევარდნაძისა და სააკაშვილის მიერ განსაზღვრული დემოკრატიული რევოლუციის მიზნები. „თავისუფლების შუქურა“, როგორც ჯორჯ ბუშმა უწოდა საქართველოს, დიდი ხნით დაფარა მტვერმა: კიდევ ერთი სამთავრობო გამარჯვება და, ალბათ, სულ ჩაქრება.

ტრაგიკული, თითქმის შექსპირისეული ქედმაღლობის ციკლი, რომელმაც სამივე პრეზიდენტი დამარცხებამდე მიიყვანა, შესაძლოა, იდეალურ სამართლიანობას წარმოადგენდეს, მაგრამ პოლიტიკის მეცნიერისთვის ის ახსნა-განმარტებას საჭიროებს. სისტემატურია თუ არა პოლიტიკური აღზევებისა და დემოკრატიული დაცემის ეს პატერნები? პასუხები რევოლუციონერთა ოცნებებში უნდა ვეძიოთ (ალბათ, კარლ პოპერი დაგვეხმარება იმის ახსნაში, თუ რა შეეშალათ), თუ უფრო ღრმა კულტურული მიზეზები

უნდა მოვიძიოთ საქართველოს ავტორიტარული პრეზიდენტების აღმა სვლის ასახსნელად?[iii] თითოეული ლიდერი ხელისუფლებაში თავისი წინამორბედის დემოკრატიული წარუმატებლობების გამოსწორების დაპირებით მოვიდა. გამსახურდია კომუნისტური ჩაგვრის დასრულების პირობას დებდა, შევარდნაძემ განაცხადა, რომ სტაბილობასა და პლურალიზმს მოუტანდა ქვეყანას, სააკაშვილმა კი პატიოსანი და ღია მთავრობის გარანტიები მისცა ხალხს. შევარდნაძის გამოცდილებით და ვარდების რევოლუციის დასავლეთში განათლებამიღებული ახალგაზრდობით მოხიბლულმა დასავლელმა ლიდერებმა ვერ დაისწავლეს, რომ პერსპექტიული, იმედის მომცემი პოლიტიკური საწყისები ვერ იძლევა შედეგების მიღწევის გარანტიას.

ცენტრალიზების ქართული ადათი

გავრცელებული ციკლი შეინიშნებოდა ქართულ პოლიტიკაში ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. რეპრესიული მმართველობის წინააღმდეგ „დემოკრატიული“ გარღვევა მალევე ახალი ფორმის ავტორიტარიზმად გარდაიქმნებოდა. რა უდევს საფუძვლად პოლტიკური რეგრესიის ასეთ პატერნს საქართველოში და ამჯერადაც განწირულნი არიან თუ არა ქართველები მისთვის? ნება მომეცით, რამდენიმე დაბრკოლება დავასახელო, რომელიც, შესაძლოა, დაგვეხმაროს იმის ახსნაში, თუ ჯერ კიდევ რატომ ვერ მიაღწიეს ქართველმა პოლიტიკოსებმა კონსოლიდირებულ დემოკრატიას. პირველ რიგში, ქართველები ცენტრალიზების მძლავრი პოლიტიკური ადათით (არ ვიცი, სხვა რა ვუწოდო ამას) ხასიათდებიან. 1990-იანი წლების დასაწყისში ეს დაშლის პირას მისულ სახელმწიფოზე რეაგირება იყო, მაგრამ ათასწლეულის დასაწყისში დეცენტრალიზაცია, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება, მისაღები იყო ქართველთა უმრავლესობისთვის. 1995 წლის შედეგ მრავალი კანონი იქნა მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობების განსავითარებლად. შევარდნაძე ფედერაციის ვარიანტსაც განიხილავდა. 2003 წელს ვარდების რევოლუციონერები უფრო მეტ ღიაობას, სამართლიან არჩევნებსა და კონსტიტუციურ რეფორმას ჰპირდებოდნენ ქართველებს. მართალია, საქართველოს ყველა ლიდერმა საჯაროდ აღიარა, რომ ეს კარგი იქნებოდა, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა ძალაუფლების დეცენტრალიზებისთვის. პრეზიდენტიალიზმის სისტემითა და პატრონაჟის არაფორმალური პრაქტიკით სტიმულირებული ცენტრალიზაცია უწყვეტად მატულობდა 2000-იან წლებში. მეორე მარცხი, რომელმაც კარგად გამოკვეთა ავტორიტარიზმში საქართველოს რეგულარული ჩაცურება, მართულებსა და მმართველებს შორის არსებული დაუძლეველი უფსკული იყო. ეს არ არის მხოლოდ საბჭოთა მემკვიდრეობა. ის სამუდამოდ დაამკვიდრეს თვითგამოცხადებულმა ნეოფიტებმა 2003 წლის შემდეგ, რომლებიც დასავლული ხაზის შესატყვისად დაბეჯითებით მოითხოვდნენ საზოგადოების იდეოლოგიურ და ეკონომიკურ რეკონსტრუქციას. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ძირითად პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს პრეზიდენტის მრჩევლების მცირე, პოლიტიკურად იზოლირებული წრე და მინისტრები (1992-1995 წლების „უმეფობის ხანა“ ნაწილობრივ გამონაკლისს წარმოადგენს) იღებდნენ. ანგარიშვალდებულების ასეთმა არარსებობამ ცუდ გადაწყვეტილებებამდე (2008 წლის აგვისტო), კორუფციამდე და საყოველთაო

იმედგაცრუებამდე მიგვიყვანა. მმართველი ელიტის იზოლაციამ 2003 წელს რევოლუცია მოიტანა, 2007-ში კონსტიტუციური კრიზისი გამოწვია, 2012 წლის ოქტომბერში კი მთავრობის ლიდერები დააჯერა, რომ არჩევნებს მოიგებდნენ. საქართველოს დემოკრატიული განვითარების მესამე დაბრკოლება ის იყო, რომ ვერც ერთმა მთავრობამ ვერ შეძლო დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა. ეს საბჭოთა აზროვნებისა და საქმიანობის მემკვიდრეობის, ეკონომიკური დაუცველობისა და სიღარიბის, ასევე, პოლიტიკური კონტროლის შენარჩუნებისთვის მოწოდებული ნაკლოვანი სასამართლო სისტემის შედეგია. დასავლეთის უნივერსიტეტებში ნასწავლი ვარდების რევოლუციონერები, რომლებიც დაბეჯითებით მოითხოვდნენ რეფორმებს, ბევრით ვერაფრით სჯობდნენ შევარდნაძის დროინდელ ძველ საბჭოთა ნომენკლატურას სასამართლოს დეპოლარიზაციის საქმეში. ეს მაშინ გახდა ნათელი, როდესაც 2012 წლის არჩევნების წინ ციხეში ძალადობის სკანდალმა იფეთქა. ამან ფარდა ახადა წლების განმავლობაში ციხეებში მიმდინარე სისტემატურ წამებას, რაც სასამართლოს ინსტიტუტის ყურადღების მიღმა რჩებოდა. გამსახურდიადან მოყოლებული ვიდრე სააკაშვილამდე, კანონი პოლიტიკური მანიპულაციის უცვლელ იარაღს წარმოადგენდა. ამას პირდაპირ უკავშირდება ქართული პოლიტიკის მეოთხე მარცხი: პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების შერწყმა. პოლიტიკური ძალაუფლება თვითგამდიდრების წყაროა საქართველოში, ეკონომიკური ძალაუფლება კი — პოლიტიკური პატრონაჟის წყარო. ეს ორი სფერო საფუძველშივე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და ერთში ძალაუფლების დაკარგვას, მეორეშიც ანალოგიურ შედეგამდე მივყავართ. ეს ხაზს უსვამს პირადი და საჯარო სფეროების გამიჯვნის არარსებობას, რაც მთელ სისტემას მსჭვალავს და ურთერთდამოკიდებულების ქსელს ქმნის; ეს კი, თავის მხრივ, სამოქალაქო ღირებულებებსა და დემოკრატიული მმართველობის არსს ანგრევს. ბიზნესი ყოველთვის მთავრობის ზეწოლისადმი მოწყვლადი იყო საქართველოში; დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ისინი სასამართლოში ხვდებოდნენ და კოლოსალური გადასახადები ეკისრებოდათ.

საჯარო და პირადი სფეროების აღრევა

საჯარო და პირადი სფეროების აღრევა თითოეული პროფესიის წარმომადგენლებზე ახდენს გავლენას: მასწავლებლები, რომელთაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის ხმის მიცემა სთხოვეს 2012 წელს, უმრავლეს შემთხვევაში ასე მოიქცნენ, რადგან სჯეროდათ, რომ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საარსებო წყაროს დაკარგავდნენ. შეიძლება პარადოქსული იყოს, რომ ჩაურევლობის ნეოლიბერალური ჩირაღდნის მატარებლები სისტემატურად ახორციელებდნენ სახემწიფოს ჩარევის პოლიტიკას, რის შედეგადაც ადგილობრივ ბიზნესებს ეშინოდათ მოგების მატების და მედიამფლობელებით მანიპულირებდნენ, საკუთარი გავლენის გაზრდის მიზნით; თუმცა, ასეთი ინტერვენციონიზმი ნეოლიბერალიზმის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა კანონით შეუზღუდავ პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში. დერეგულაციამ მეტი შესაძლებლობა შექმნა პატრონაჟული კაპიტალიზმისთვის და წაახალისა ბიზნესები, რომ ძალაუფლების ჩვეულ წყაროსთან — სახელმწიფოსთან ერთად მოეპოვებინა გავლენა. და ბოლოს, ქართული პოლიტიკის ფსიქოლოგიური თავისებურებაა, რომ ლიბერალური დემოკრატიისთვის საჭირო კონსენსუსისთვის იხლიჩებოდეს ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. ამ პერიოდში ქართულმა ჯგუფებმა და

პოლიტიკოსებმა ვერ შეძლეს ეფექტური დიალოგის წარმოება. ეს პოლიტიკური პოლარიზაციის შედეგიც არის და სტიმულიც. ეს „ტემპერამენტის“ პრობლემა კი არ არის, არამედ ღირსებისა და სირცხვილის, პოლიტიკური პრაქტიკის უქონლობასა და ორგანიზაციული ცხოვრების პოსტსაბჭოთა სიცარიელეს უკავშირდება. ილია მოუბანისი ასე ხედავს პრობლემას: ქართველ პოლიტიკოსებს „არაფერი აკავშირებთ [თავიანთ] ძალაუფლებასთან,“ ვინაიდან მათ არ უწევთ ინტერესების არტიკულაციასთან ქვემოდან ორგანიზებულ სოციალურ საარჩევნო ოლქებთან პირისპირ დგომა.[iv] ასეთი პოლარიზაციის მსუბუქ ფორმას ბოიკოტებამდე და შიმშილობებამდე მივყავართ, უარეს ფორმას კი — ძალადობამდე. ნებისმიერ შემთხვევაში, ის მხარეებს სხვადასხვა მიმართულებით ექაჩება; ძირს უთხრის მათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დამაკავშირებელ ფუნქციას, რაც ეფექტური მმართველობისთვის საჭირო ფართო პოლიტიკურ კონსენსუსს ქმნის.

ყველა ამ მახასიათებლის ერთობლივ შედეგს პოლიტიკური შიზოფრენია წარმოადგენდა, რომელიც, ერთი მხრივ, ფასადებითა და ფანტაზიებით და, მეორე მხრივ, რეალობებითა და აჯანყებებით ხასიათდებოდა. ამ სისტემის ორმაგი ხასიათი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ეკონომიკაში, რომელიც 2003 წლის შემდეგ ხასიათდებოდა ჭკვიანი მოდერნიზებული ცენტრით თბილისში (და, შესაძლოა, ბათუმში) და გაღატაკებული და უარყოფილი პერიფერიით სხვა ქალაქებსა და სოფლებში. ორი ათწლეულის განმავლობაში ამ სისტემატურმა ორმაგმა ხასიათმა ქართული დემოკრატია გაყო, ერთი მხრივ, უფლებებისა და თავისუფალი ბაზრის საჯარო რიტორიკულ სივრცედ და, მეორე მხრივ, კონტროლის, კორუფციისა და დაშინების საიდუმლო სფეროდ. მიუხედავად კამათისა და ქიშპის ხანმოკლე ინტერლუდიისა, პარლამენტი, თავისი ისტორიის უმეტეს დროს, ერთი დომინანტური პარტიის ფორუმს წარმოადგენდა. პროვინციებში თვითმართველობა დაუძლურებული იყო მართული არჩევნებითა და ცენტრალური მთავრობის მიერ, ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით, რესურსების კონტროლით. სასამართლო სისტემაში ისეთი თვითმმართველი სტრუქტურები, როგორიც უზენაესი სასამართლოა, თანამდებობებზე საპრეზიდენტო დანიშვნების ინსტიტუციურ ბერკეტს წარმოადგენდა. მთავრობის ფანტაზები ხშირად ეჯახებოდა ძალაუფლების ვიწრო დერეფნების მიღმა არსებულ რეალობას: 1990 წლის ოქტომბერში (მრგვალი მაგიდა-საქართველოს ბლოკის არჩევა); 1991 წლის ზამთარში (გამსახურდიას პრეზიდენტობის რღვევა); 2001 წლის ოქტომბერში (პოპულარული სატელევიზიო არხის, რუსთავი 2-ის ტლანქი ჩახშობის შემდეგ მთავრობის გადადგომა); 2003 წლის ოქტომბერში (ვარდების რევოლუცია); 2007 წლის ნოემბერში (სახალხო დემონსტრაციებისადმი მთავრობის მიერ გამოვლენილი სისასტიკის თანმდევი კონსტიტუციური კრიზისი); 2012 წლის ოქტომბერი (კოალიცია ქართული ოცნების გამარჯვება). ისმის კითხვა: შეუძლია თუ არა ახლადარჩეულ მთავრობას, რომელსაც სათავეში 57 წლის მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი უდგას სათავეში და რომელიც ანგარიშვალდებულების, ეკონომიკური თავისუფლებისა და მოქალაქეების უფლებების უკვე ნაცნობ ფორმულას იმეორებს, დემოკრატიული დაპირებისა და დაცემის ქართული წრის გარღვევა, რაც ასე ხშირად სრულდება კრიზისით, აჯანყებითა და ახალი მხსნელის გამოჩენით.

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა: იმედის მომცემი?

პირველ რიგში, ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამას უნდა შევხედოთ. ის, ყველა საარჩევნო პროგრამის მსგავსად, დაპირებების ნაკრებია.[v] მასში აღწერილია, რას მიიჩნევს ახალი მთავრობა თავის ძირითად ამოცანად; მაგრამ უპირისპირდება თუ არა პროგრამის რეკომენდაციები საქართველოს სისტემატურ ორმაგ სტანდარტებს, კერძოდ კი, საქართველოს დემოკრატიული კონსოლიდაციის დაბრკოლებებს?

რაც შეეხება პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციას, პროგრამა იმედის მომცემია: ის „პოლიტიკური მესიანიზმის“ დასასრულისკენ, კონტროლისა და ბალანსის სისტემის განმტკიცებისკენ მოგვიწოდებს, მხარს უჭერს საპარლამენტო სისტემას (სააკაშვილის მიერ შემოთავაზებული ცვლილება მისი პრეზიდენტობის მეორე ვადის პერიოდში), ძლიერ საპარლამენტო ოპოზიციას, იმპიჩმენტის წესების გამარტივებას, ადგილობრივ მთავრობაში კი უფლებების დელეგირებაზე აკეთებს აქცენტს. პრინციპში, ამან დახმარება უნდა გაუწიოს ნდობისა და მონაწილეობის საკითხის დაძლევას და შეამციროს მართულსა და მმართველს შორის არსებული მანძილი. განათლების „დეპოლარიზაციის“, სკოლებში თვითმმართველობის განვითარების, მასწავლებლების შრომითი უფლებების დაცვის, არსებული შრომითი კოდექსის გადასინჯვისა (რომელიც პრაქტიკულად აუქმებს დაქირავებულთა სამოქალაქო უფლებებს სამუშაო ადგილზე) და ეროვნული უმცირესობებისა და ქალების ადმინისტრაციულ და მმართველ პოზიციებზე ხელშეწყობის მთელი რიგი ზომების შეთავაზება ზრდის მთავრობისადმი ნდობას. დასაქმების პოლიტიკისადმი ერთგულება და „ბაზისური უნივერსალური ჯანდაცვის პაკეტის“ შემოღების დაპირება მოქალაქეების კეთილდღეობაზე მთავრობის პასუხისმგებლობის დამოწმებას წარმოადგენს. ასეთი შეთავაზებები ადამიანების უსაფრთხოებას ეკონომიკურ სისტემაში მოქალაქეების ინტეგრაციას უკავშირებს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მოსახლეობის უმრავლესობა მხოლოდ ეკონომიკის საზღვრებში იყო აქტიური.

მთავრობისადმი საზოგადოების ნდობის შენარჩუნებაში ძირითადი როლი დამოუკიდებელ სასამართლოს ენიჭება. პროგრამაში მოთხოვნილია სასამართლოს დამოუკიდებლობა უზენაესი სასამართლოსგან — მოსამართლეთა თვითმმართველი ორგანოსგან პრეზიდენტის კონტროლის ჩამოშორების, მთავარი პროკურორის ოფისის დეპოლიტიზაციის, სისხლის სამართლის კანონისა და პროცედურების რეფორმირების და კონსტიტუციური სასამართლოს კომპეტენციის გაზრდით. ასეთი ინსტიტუციური ზომები თავისთავად არაადეკვატურია, თუმცა განხორციელების შემთხვევაში პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების სინერგიას დაასუსტებს. თუ დამოუკიდებელ სასამართლოსთან ერთად, დაპირებისამებრ, ანტიმონოპოლიური ღონისძიებებიც განხორციელდა, კორუმპირებული სახელმწიფო თანამდებობის პირები მნიშვნელოვნად შეიზღუდებიან. ძლიერი ოპოზიციის პროპაგანდამ და საკანონმდებლო პროცესში მისი ჩართულობის უზრუნველყოფამ, შესაძლოა, პოლიტიკურ პოლარიზაციასთან გამკლავებაში გაუწიოს დახმარება. თუმცა, მმართველობის, სტილისა და პოლიტიკური პრაქტიკის შეცვლის გარეშე შედეგები მხოლოდ ფორმალური ხასიათის იქნება.

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ უილსონმა აღნიშნა, რომ ერთი კვირა დიდი დროა პოლიტიკაში. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ ხუთი თვე მოკლე დროა პოლიტიკაში. მთავრობა ახალია, გამოუცდელია და პარლამენტში უმრავლესობისდა მიუხედავად, მტრულად განწყობილ, ვეტოს უფლების მქონე პრეზიდენტთან უწევს პირისპირ დგომა. მის წინაშე, ამბიციური პროგრამისა და შეზღუდული რესურსების ფონზე, კოლოსალური ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანები დგას. ჩვენ ჯერ ვერც შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებს შევაფასებთ და ვერც (რასაც გადამწყვეტი მნშვნელობა აქვს) იმას, როგორ გამოიყენებს მთავრობა თავის ხელთარსებულ ძალაუფლებას. ის ვალდებულია, რომ არათანაბარი იყოს, თუმცა სიტუაცია დრამატულად შეიცვალა ბოლო ხუთ თვეში. საქართველოში „ახალი პოლიტიკაა“ თავისი სტილის, სტრატეგიებისა და მიზნების თვალსაზრისით. მთავრობამ თავი დაანება წინა ადმინისტრაციისთვის ჩვეულ, საკუთარი თავის დამამშვიდებელ რიტორიკას. მისი სამეტყველო ენა გაცილებით ნაკლებად „იდეოლოგიური“ ტონით ხასიათდება. სანახაობრივი სამთავრობო ცერემონიები, რომლებიც ხშირად ახალ გზებს, სამხედრო აღლუმებს ან ახალი ციხეებისა და სკოლების მშენებლობას უკავშირდებოდა, წარსულს ჩაბარდა, წინა ადმინისტრაციის მიერ თვითდაწესებული იზოლაცია კი შეიცვალა. მინისტრთა ახალი კაბინეტი და პრემიერ-მინისტრი პრესკონფერენციების, ღია წერილებისა და ტელევიზიის მეშვეობით ესაუბრებიან საზოგადოებას. მთავრობამ ისწავლა, რომ პოლიტიკური იზოლაცია ძირს უთხრის მხარდაჭერას, თუმცა ეს ახალი ღიაობა სათანადოდ ინსტიტუციონალიზაციას საჭიროებს.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საკანონმდებლო პროცესში ჩართვა

ოპოზიციასთან თანამშრომლობის პერსპექტივისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სტილსა და სამეტყველო ენას. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ჩართული უნდა იყოს საკანონმდებლო პროცესში, საპარლამენტო კენჭისყრების ბოიკოტირების ტენდენციისდა მიუხედავად (დარბაზის დემონსტრაციული დატოვება დასავლურ საკანონმდებლო ორგანოებშიც ხდება). ახლა პარლამენტი ნამდვილად არის დებატების ადგილი — ერთპარტიული დომინირების თითქმის ოცწლიანი ტრადიცია წარსულს ჩაბარდა. საქართველოს ფუნქციონირებადი მრავალპარტიული სისტემა აქვს. აქამდე საკანონმდებლო ორგანო მეტად წარმატებული იყო კომპრომისის მიღწევაში, ვიდრე პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. 2013 წლის მარტში კოალიცია ქართულმა ოცნებამ და ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ერთობლივად მიიღეს საკამათო კონსტიტუციური ჩასწორებები, რომლებიც ამცირებენ პრეზიდენტის უფლებას, დაითხოვოს პარლამენტი და საგარეო პოლიტიკის ერთბლივ განაცხადზეც შეთანხმდნენ. თუმცა, პრეზიდენტ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს შორის არსებული პიროვნული მტრობა ართულებს ორი პარტიის თანამშრომლობას. „თავაზიანი ენა“, რომლისკენ მოწოდებაც ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამაშია წარმოდგენილი, არ შეინიშნება უმაღლეს დონეზე. ივანიშვილი პრეზიდენტთან გამართულ ნებისმიერ დიალოგში ღიად გამოხატავს თავის ქედმაღლურ და აბუჩად ამგდებ დამოკიდებულებას, სააკაშვილი კი ისევ პოლარიზების ენით აგრძელებს საუბარს. მათი პიროვნული კონფლიქტი გემრიელი ლუკმაა პრესისთვის და მათი განსხვავებულობის მიღმა მნიშვნელოვან პრინციპებს ფარავს. ამ სიტუაციიდან 2013 წლის ოქტომბერში გამოვალთ, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი

თანამდებობას დატოვებს, თუმცა ამჟამინდელი ურთიერთობა გვაფიქრებინებს, რომ მათი ეგოები ისევ და ისევ დაჩრდილავენ პოლიტიკას საქართველოში.

პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი საქართველოს პოლიტიკის მთავარი შემმუშავებელი პირია. აქამდე მის მიერ დანიშნული კაბინეტი გვაფიქრებინებს, რომ მას არ ეშინია დამოუკიდებელი ხმების. მან თავდაცვის მინისტრად (ირაკლი ალასანია) პოტენციური მოწინააღმდეგე დანიშნა, რისკიანი ნონკონფორმისტი (პაატა ზაქარეიშვილი) — რეინტეგრაციის მინისტრად, მკაცრი და პატიოსანი იურისტი კი (თეა წულუკიანი) — იუსტიციის მინისტრად. რესპუბლიკური პარტიის (კოალიცია ქართული ოცნების წევრი) ლიდერი და ბუნებრივი შემრიგებელი დავით უსუფაშვილი პარლამენტის თავმჯდომარედ იქნა არჩეული. კაბინეტის ნაკრები უფრო ჯანსაღია, ვიდრე საკაშვილის დროს, ვინაიდან კაბინეტის წევრების უმრავლესობის შერჩევისას ახალგაზრდობისა და დასავლეთში განათლება მიღებულობის კრიტერიუმი გაიმიჯნა რიგითი ქართველების საჭიროებებისა და საფიქრალებისგან. ქართული ოცნება კოალიციად რჩება. ეს მნიშვნელოვანია: ამით სრულდება კაბინეტში ერთპარტიული ბატონობა, რამაც ერთ ლიდერის პატივისცემა განამტკიცა საკაშვილის მმართველობისას.

სტილთან ერთად შინაარსიც უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ საზოგადოებრივი იმედგაცრუებისა და მასობრივი პროტესტის ციკლს დავუბრუნდებით. ხუთი თვე არ არის საკმარისი რაიმე დასკვნების გასაკეთებლად რეფორმების გრძელვადიანი ეფექტიანობის შესახებ. ამ ეტაპზე მხოლოდ მთავრობის მიერ ცვლილების განხორციელების სტრატეგიების განხილვა შეგვიძლია. შეზღუდული სივრცისა და დასასრულებელი რეფორმების პირობებში, მოკლედ შევეხებით მხოლოდ სამ მახასიათებელს: პარლამენტსა და სასამართლო სისტემას, ადგილობრივ მთარობასა და ეკონომიკას. 2012 წლის ოქტრომბრის შემდეგ დრამატული ცვლილებები მოხდა პარლამენტში. მან დაიბრუნა დამოუკიდებელი საკანონმდებლო ფუნქცია. ქართული ოცნებისთვის სამწუხაროდ, მაგრამ ქართული პოლიტიკური სისტემის სიჯანსაღისთვის საბედნიეროდ, ამ გარდამავალ პერიოდში ქართულ ოცნებას არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა. კონსტიტუციური ცვლილებებისთვის მას შეთანხმების მიღწევასა და განხილვებში უმცირესობის ჩართვა უწევს. მშვიდობიანი წლების შემდეგ, დებატები გამოცოცხლებულია, პარლამენტმა აღადგინა გარკვეული ბალანსი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის. სასამართლოს სისტემაში სწრაფი რეფორმირება ხდება. როგორც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ამბობს, სასამართლოს რეფორმა რეალური სტრუქტურული ცვლილების „ლაკმუსის ტესტია“.[vi] შეიძლება ითქვას, რომ თუ არ არის კანონის მმართველობა, არ არის დემოკრატია. მთავრობა დაგვპირდა ახალ კანონს ზოგადი სასამართლოების შესახებ, რომელიც, ძირითადად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს — საქართველოს მოსამართლეების დანიშვნაზე პასუხისმგებელი ორგანოს — რეფორმას უზრუნველყოფს. ამ კანონით, ფაქტობრივად, ამოღებული იქნება პრეზიდენტის მიერ დანიშვნა იმით, რომ დანიშვნის ძალაუფლება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს (პრეზიდენტის მიერ დანიშნულს) გადაეცემა; ასევე, უმაღლეს საბჭოში პარლამენტის გარეთ არსებული ორგანოების უფრო ფართო მონაწილეობას უზრუნველყოფს. თავდაპირველად თხუთმეტი წევრიდან ექვს კანდიდატს პარლამენტი სამართალდამცავი არასამთავრობო ორგანიზაციების, იურიდიული სკოლებისა და საქართველოს

ადვოკატთა კოლეგიის მიერ დასახელებული კანდიდატებიდან აირჩევს.[vii] კანონის სხვა ნაწილები სასამართლო დარბაზებს აღებენ კამერებისა და ჩანაწერების წარმოებისთვის, რაც 2007 წელს აიკრძალა და, ასევე, მოსამართლეებს დაფარული კენჭისყრის გარანტიებს აძლევენ სასამართლოს შიდა არჩევნებში. ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ გააფართოვებს ნაფიც მსაჯულთა სისტემას, განახორციელებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმას დასაცავის მეტი უფლებების უზრუნველსაყოფად, ბოლოს მოუღებს ბრალის აღიარებისთვის წარმოებული გარიგებების სისტემას და გაატარებს შრომის კოდექსის რეფორმას დასაქმებულების უფლებების გაზრდის მიზნით. თუ ეს ღონისძიებები წარმატებული აღმოჩნდა, ეს ფუნდამენტური გარღვევა იქნება საქართველოს წარსულის „სატელეფონო სამართლის“ თვალსაზრისით. ახალი მთავრობის გულწრფელობისთვის მნიშვნელოვანი გამოცდა იქნება ყოფილი მთავრობის ოფიციალური პირების სასამართლო პროცესების წარმოება. პროცესებზე დასაკვირვებლად და მონიტორინგისთვის მიწვეულნი იყვნენ როგორც უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE), ისე დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) წარმომადგენლები. ამასთან, შერიგების ჟესტის სახით, ახალმა პარლამენტმა თანხმობა განაცხადა სააკაშვილის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნების ფართომასშტაბიან ამინისტიაზე.

ადგილობრივი მთავრობის გაძლიერება

ადგილობრივი მთავრობა არასოდეს ფუნქციონირებდა ეფექტურად საქართველოში. მას მორყეული ჰქონდა საფუძველი ფისკალური რესურსების არარსებობით, ცენტრალურად დანიშნული მმართველების ჩარევით, ადგილობრივ სახელმწიფო სერვისებზე გავრეცელებული არაადეკვატური იურისდიქციითა და ამომრჩევლების წინაშე სუსტი ანგარიშვალდებულებით. 1991 წლიდან მოყოლებული, არც ერთ მთავრობას არ ეყო გამბედაობა, რომ ძალაუფლების დეცენტრალიზაცია მოეხდინა საქართველოს მოქალაქეებისთვის. სააკაშვილის მმართველობის პირობებში არსებითად შემცირდა ადგილობრივი მთავრობის მთელი რიგი ერთეულებისა. 2013 წლის თებერვალში ახალმა მთავრობამ კონცეპტუალური დოკუმენტი შექმნა, რომელშიც შემოთავაზებულია ცენტრალიზაციის ამ ადათის შეცვლის შესაძლებლობა, რომელიც იმის შიშით შეიქმნა, თუ რა შეიძლება მოიმოქმედონ მოქალაქეებმა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი არ არიან ეთნიკური ქართველები.[viii] საკრებულოებს პირდაპირი გზით აირჩევენ სოფლის დონეზე; გაიზრდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების რაოდენობა (სუბსიდიარობის პრინციპის შესატყვისად), ხოლო მერებს, რომლებსაც ამჟამად არაპირდაპირი გზით ირჩევენ ადგილობრივი საბჭოები, პირდაპირ მოსახლეობა აირჩევს. მუნიციპალური ბიუჯეტის ზრდა მოგების გადასახადების განაწილებით მოხდება. შენარჩუნდება გუბერნატორის პოზიციები, მაგრამ კანდიდატებს არჩეული რეგიონალური ორგანოები წარუდგენენ ცენტრალურ მთავრობას. ჩვენ ვნახავთ, როგორ განხორციელდება ეს ღონისძიებები პრაქტიკაში. გუბერნატორების შენარჩუნებამ, შესაძლოა, ადვილად შეაფერხოს რეფორმები. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ 2012 წლის ნოემბერში ჩატარებულმა ბოლო გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობა უაღრესად ემხრობა გუბერნატორებზე პირდაპირ საზოგადოებრივ კონტროლს (83-დან 97%-მდე რეგიონების მიხედვით).[ix] თუმცა, მაინც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღის წესრიგში დგას უფრო

მეტი ანგარიშვალდებულება ადგილობრივ დონეზე. საბოლოოდ, შესაძლოა, შეიქმნას რეალური ადგილობრივი სამთავრობო ერთეულები უარყოფილ პროვინციებში და შემცირდეს საქართველოს ორმაგ დემოკრატიაში არსებული დიდი განსხვავებები.

ეკონომიკა ყველაზე დიდი გამოწვევაა ახალი მთავრობისთვის. სააკაშვილის ადმინისტრაციის ეკონომიკური მიღწევები უაღრესად გადაფასებული და უკიდურესად არაერთგვაროვანია. უმუშევარი ქართველებისთვის პროგრესის არარსებობა, შესაძლოა, ახალი მთავრობის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ყოფილიყო. ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის მიხედვით, მნიშვნელოვნად შეიცვლება ეკონომიკური მიმართულება. აღიარებს რა თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, პროგრამა ემხრობა „საბაზრო ფუნდამენტალიზმის“ ჩანაცვლებას „თანამედროვე მიდგომით, რომელიც ხაზს უსვამს სახელმწიფოს როლს სოციალური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.“ მასში წერია: „სისტემის ტრანსფორმაციაში გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს უნდა მიენიჭოს.“[x] ეს რეალურად არის წინა მთავრობის ჩაურევლობის პოლიტიკის სრულიად საპირისპირო ცვლილება. საქართველო სინგაპურის მოდელიდან, სავარაუდოდ, გერმანული მოდელისკენ მიდის. ახალი პრიორიტეტები 2013 წლის ბიუჯეტშიც აისახა: სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა და სოციალური უსაფრთხოება, განათლება და მეცნიერება გაცილებით მეტ დაფინანსებას მიიღებენ. შემცირდა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების დაფინანსება, რის ხარჯზეც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 29.5%-ით გაეზარდა ბიუჯეტი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს — 11.5%-ით, ხოლო სოფლის მეურნეობის სამინისტროს — 61.8%-ით.[xi] კიდევ ერთი საშუალება, რომელიც საქართველოს ინტერესების მიხედვით გაერთიანებული ჯგუფების მეშვეობით მუშაობს, კონკურენციის შესახებ ახალი კანონია, რომელიც იმის დასასრულებლად არის მოწოდებული, რასაც მთავრობა საქართველოს ოლიგოპოლიას უწოდებს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2011-2012 წლის გლობალური კონკურენციის ანგარიშში საქართველო 135-ე ადგილზეა „ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ეფექტურობის“ და 128-ე ადგილზე — „ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობის“ მიხედვით.[xii] მიუხედავად ამისა, ჯერ ძალიან ადრეა ასეთი რეფორმების ეფექტურობის შესახებ საუბარი. საქართველოს საშინელი ეკონომიკური სიტუაციისა და ევროპის ფინანსური კრიზისის პირობებში, ძნელი იქნება დასაქმებულთა რიცხვის გაზრდა. ახალი მთავრობა იმედოვნებს, რომ ფინანსური სექტორის ზრდას სოფლის მეურნეობისა და მცირე ბიზნესების განვითარებით ჩაანაცვლებს. ეს სტრატეგია, შესაძლოა, მართებული იყოს საქართველოსთვის (1995 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 47%-ს სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფდა, დღს კი ის 9%-ს შეადგენს), მაგრამ საკითხავია, როგორ და, ქართველთა უმრავლესობას აინტერესებს, თუ როდის მოხერხდება ეს.

საქართველოს პოლიტიკური სტრუქტურა ავტონომიურობის მოპოვებას იწყებს. განხილვის ეტაპზე მყოფი კანონები იმედის მომცემია. ახალი განმკარგულებლები, როგორც ჩანს, აცნობიერებენ, რომ პროცედურებიც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მიზნები. ახალი პრაგმატიზმი ყალიბდება საგარეო პოლიტიკაში და რუსეთთან ვაჭრობა ნაწილობრივ უკვე აღდგენილია (2012 წლის ნოემბერში ქართველების 83%-მა მხარი დაუჭირა რუსეთთან დიალოგს). გადასაჭრელი საკითხების ნუსხა ვეებერთელაა და თუ

ეკონომიკური რეფორმა ვერ გააუმჯობესებს ქართველების ცხოვრებას, საზოგადოებრივი მხარდაჭერა მალევე გადაიზრდება ცინიკურ გულგრილობაში. IRI-ის გამოკითხვის მიხედვით, ნოემბერში ქართველების 46% უმუშევრობას ყველაზე არსებით საკითხად მიიჩნევდა და გაცილებით მაღლა აყენებდა, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენს.[xiii] დღეისათვის საქართველოში პოპულარულია „ახალი პოლიტიკა“ და მთავრობას არასოდეს ჰქონია უკეთესი შანსი, რომ თავი აარიდოს დემოკრატიული მარცხის ნაცნობ ციკლს. საქართველოს მოქალაქეებზეა დამოკიდებული იმის უზრუნველყოფა, რომ მან შეძლოს ეს.

შენიშვნები

[i] Samuel P. Huntington, The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century, (Norman: Oklahoma University Press), 1991, pp. 266-67.

[ii] მაგალითისთვის იხ. “European Parliamentarians Address to Bidzina Ivanishvili” (March 6, 2013), http://www.civil.ge/files/files/2013/EPP-MEPs-Letter-to-PM-Ivanishvili.pdf

[iii] კარლ პოპერი თავის წიგნში „The Open Society and Its Enemies“ (London: Routledge & K. Paul) 1966 ამტკიცებს, რომ რევოლუციურ აბსტრაქციებთან გვაქვს საქმე, როდესაც კომპლექსულ საზოგადოებებზეა საუბარი, რასაც დესპოტიზმის სხვადასხვა ფორმამდე მივყავართ.

[iv] Dr Ilia Roubanis, “Georgia’s pluralistic feudalism: a frontline report”, July 3rd, 2009, www.opendemocracy.net/article/georgia-pluralistic-feudalism (Last accessed July 22, 2012)

[v] მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს პარლამენტის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს თედო ჯაფარიძეს ასლის გამოგზავნისთვის. მისი სახელწოდებაა: „საარჩევნო კოალიცია ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება: პლატფორმა.“ ნებისმიერი მითითება ჩემს პირად ასლს შეეხება. გვერდები არ არის გადანომრილი.

[vi] Tea Tsulekiani, “Georgia’s Legal Reform Revisited: Agenda for Improvement,” Carnegie Foundation for International Peace-ში ჩატარებული ლექცია, Washington D.C., February 22, 2013. http://carnegieendowment.org/2013/02/22/reforming-justice-system-ingeorgia/ ffqi

[vii] “MPs Endorse Revised Bill on Reforming Judicial Council,” Civil.ge, March 23, 2013, http://www.civil.ge/eng/article.php?id=25881

[viii] “Govt. Lays Out Local Self-Governance System Reform,” Civil.ge, February 22, 2013, http://www.civil.ge/eng/article.php?id=25778

[ix] "IRI Releases First Georgian National Survey After Elections," Feb. 8, 2013, p. 43, IRI, http://www.iri.org/news-events-press-center/news/iri-releases-first-georgian-nationalsurvey-after-elections

[x] "Electoral Coalition Bidzina Ivanishvili – Georgian Dream: Platform." Ibid. (no page numbers)

[xi] Mikheil Kukava, "2013 State Budget: Analysis and Recommendations," Transparency International Georgia, http://transparency.ge/en/blog/2013-state-budget-analysis-and-recommendations

[xii] Nicholas Clayton, "Building on the Georgian Miracle," Investor.ge, Issue 5, October-November 2012, http://www.investor.ge/article_2012_5.php?art=11

[xiii] "IRI Releases First Georgian National Survey After Elections," Ibid., p. 4.